საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისია

ბრძანება № 6/10

ქ.თბილისი

" 12 " ივნისი 2018 წ.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის აპარატში კომერციული საიდუმლოების შემცველ დოკუმენტაციაზე მუშაობის შესახებ კომისიის თავმჯდომარის 2016 წლის 18 ივლისის N6/19 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე–8 მუხლის მე–5 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის $27^{2,}$ და 63–ე მუხლების, „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების დამტკიცების თაობაზე" კომისიის დადგენილების მე-19 მუხლის მე–9 პუნქტის, აგრეთვე „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დებულების" მე–6 მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში „კომისია") აპარატში კომერციული საიდუმლოების შემცველ დოკუმენტაციაზე მუშაობის შესახებ კომისიის თავმჯდომარის 2016 წლის 18 ივლისის N6/19 ბრძანებაში (შემდგომში „ბრძანება") შევიდეს ცვლილება და ბრძანების პირველი პუნქტს დაემატოს შემდეგი რედაქციის 3^{2}) ქვეპუნქტი:
„3^{4}) ეკატერინე სიჭინავა - ბაზრის ანალიზისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ბაზრის ანალიზის წამყვანი სპეციალისტი;".

2. ბრძანება ძალაში შევიდეს კომისიის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე;

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ. N6) გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

4. კონტროლი აღნიშნული ბრძანების შესრულებაზე დაევალოს კომისიის ადმინისტრაციას (ი.ხარებავა).

კომისიის თავმჯდომარე კახი ბექაური